

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საზოგადოებრივი მაუწყებელი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

2016 წლის 19 ოქტომბერი

№ 247

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის განმეორებითი კენჭისყრის და საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტურის დანიშვნასთან დაკავშირებით სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების მიზნით ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის ტარიფების დამტკიცების და არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის უფასო სარეკლამო დროის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 50-ე და 51-ე მუხლების, ასევე, “მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-7 პუნქტის და სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დებულების მე-5 მუხლის 5.3.2. ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის განმეორებითი კენჭისყრის და საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტურის დანიშვნასთან დაკავშირებით სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების ტარიფები განისაზღვროს თანდართული სახით.
2. არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის უფასო სარეკლამო დრო სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ პირველი და მეორე სატელევიზიო, ასევე, რადიოარხებზე: FM102.4 და FM100.9 განისაზღვროს დღეში არაუმეტეს 60 წმ-ის ოდენობით ყველა არაკვალიფიციური სუბიექტისთვის 19:00 სთ-დან 20:00 სთ-მდე.
3. წინამდებარე ბრძანება ძალაშია 2016 წლის 19 ოქტომბრიდან და მოქმედებს 2016 წლის 21 ოქტომბრის ჩათვლით.

დანართი 1 ფურცლად

გენერალური დირექტორი



გიორგი ბარათაშვილი

მაუწყებლის მიერ გამოყოფილი, ფასიანი პოლიტიკური რეკლამის შესახებ ინფორმაცია

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო (პოლიტიკური) ფასიანი რეკლამის განთავსებისთვის საეთერო დრო გამოყოფილია 2016 წლის 20 ოქტომბრიდან 2016 წლის 21 ოქტომბრის ჩათვლით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის 1 არხზე ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი საეთერო დროის ხანგრძლივობა, ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის შეადგენს 18 წუთს, მეორე არხზე 15 წუთს, ხოლო რადიოებზე FM 102.4 FM 100.9 15 წუთს.

ფასი მოცემულია ლარში და ითვალისწინებს დღგ-ს.

სარეკლამო დროის ტარიფი:

1 არხი			
პროგრამის გასვლის დრო	გასვლის დღე	ბლოკის პოზიცია (1 წთ. ფასი ლარებში) დღგ-ს ჩათვლით	
		გადაცემამდე	გადაცემაში
07:27-11:59	ორშაბათი - კვირა	3 000	3 000
12:00-17:59	ორშაბათი - კვირა	6 000	6 000
18:00-00:59	ორშაბათი - კვირა	12 000	12 000
01:00-05:00	ორშაბათი - კვირა	3 500	3 500

2 არხი			
პროგრამის გასვლის დრო	გასვლის დღე	ბლოკის პოზიცია (1 წთ. ფასი ლარებში) დღგ-ს ჩათვლით	
		გადაცემამდე	გადაცემაში
08:00-11:59	ორშაბათი - კვირა	2 500	2 500
12:00-17:59	ორშაბათი - კვირა	4 500	4 500
18:00-23:59	ორშაბათი - კვირა	10 000	10 000
00:00-02:00	ორშაბათი - კვირა	2 000	2 000

რადიო FM 102.4 FM 100.9			
პროგრამის გასვლის დრო	გასვლის დღე	ბლოკის პოზიცია (1 წთ. ფასი ლარებში) დღგ-ს ჩათვლით	
		გადაცემამდე	გადაცემაში
06:27-11:59	ორშაბათი - კვირა	1500	1500
12:00-18:59	ორშაბათი - კვირა	2000	2000
19:00-23:59	ორშაბათი - კვირა	1200	1200
00:00-02:00	ორშაბათი - კვირა	1300	1300

„19“ ოქტომბერი 2016 წ.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი

გენერალური დირექტორი

გიორგი ბარათაშვილი

